



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

ბრძანება № 89

ჩაქვი

„31“ დეკემბერი 2018 წ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის საშტატო
ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6-მე-8, მე-12 და 22-ე მუხლების, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 121-ე მუხლის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 21-ე მუხლისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 48-ე მუხლის „ო“ და „პ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა :

1. დამტკიცდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2019 წლის საშტატო ნუსხა, თანახმად დანართისა.
2. ბრძანების ასლის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულებისათვის დაგზავნა დაევალოს საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილებას.
3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსს მათა ხაჯიშვილს.
4. ამ ბრძანების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის 2018 წლის 18 იანვრის N 08 ბრძანება.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).
6. ბრძანება ამოქმედდეს 2019 წლის 01 იანვრიდან.

დავით გაბაიძე